

ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე
მდებარე ორ ოთახზე, მოქალაქე კონსტანტინე ხარაბაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებულ ორ ოთახში მცხოვრები მოქალაქე კონსტანტინე ხარაბაძის განცხადება /2013 წლის 15.04 №–4577/, რითაც ითხოვს ორ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე ორ ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე კონსტანტინე ხარაბაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე ორ ოთახზე /საერთო ფართობი 37,19 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 37,19 კვ.მ./ მოქალაქე კონსტანტინე ხარაბაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი